ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 351 | **ქვირა, 25 სექტემბერი 1905 წ.** | **ფასი № 2+17**

ჩვეულებრივი ამბავი

(შემდეგი *)

ნიკო წავიდა და მისი ოჯახი უარეს მწუხარებაში ჩავარდა, უფრო დაღარიბდა. თუმცა-კი ნიკოს არაფერი შემოჰქონდა და ფეფო შრომობდა, მაგრამ მაინც ქმარი ადგა თავზე და იმედი იყო, როგორც ფეფოსა ჰქონდა წარმოდგენილი.

— ლოგინში მარტო ძალები რომ ეყაროს ქმრისა, ისიც დიდი ნუგეშიაო,—ამბობდა ხოლმე.

აღარ ახსოვდა არც ცემა და აღარც ათასჯერ მიყენებული ტანჯვა. დაიწყო ჯვარი, რომელსაც ზედ დაერთო გამუდმებული ავადყოფობა; შრომა აღარ შეეძლო, სულ ერთთავად ლოგინში იწვა, ან თაე-პირ შეხვეული თუ გაივლიდა სახლში. ვაქები ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდნენ, ქალი კი პატარა იყო და დედას არ სცილდებოდა. ზოგჯერ აქეთ-იქიდან ეხმარებოდნენ, ფულსაც უგროვებდნენ, მაგრამ რას უშველიდა ასეთი წყალობა!

სუსხიანი ზამთარი დადგა. შეშა არა ჰქონდათ და ნახშირი, რით უნდა აენთოთ ცეცხლი.

— დედა, დედა!—მოირბინა სალამოს უფროსმა ბიჭმა, იხვის ბუკივით ამოწუმპულიყო, ფეხები ჩატალახებოდა, შარვლის ნაფლეთები კონკებივით ეკიდა და ყოველ ფეხის გადადგმაზე უფრიალებდა.

— რა იყო შვილო?—უთხრა უგულოთ ფეფომ.

— აი, დედა ამ ქუჩის თავზე რომ ბაღი იწყება, იქ ვიყავი ეხლა.

— მერე?

— მერე დავათვალიერე და მესერს ცოტათი მომპალი აქვს ძირი, ზევითაც ლურსმები ასძრობია... ცოტა რომ შეანძრიოს კაცმა, იქა წუთშივე მოძვრება.

— მერე რა გინდა, შვილო?

— მოვიტანოთ, დედა... და ავანთოთ...

— არა, შვილო, ეგ როგორა სთქვი, ვიქურდოთ?.. ცოდვა არ არის?

— რა ცოდვაა, დედა! იმის პატრონს მაინც ბევრი აქვს... მე ვიცი, რომ ძალიან მდიდარია და ყველაფერი ბლომად აქვს... ისეთი პალტო და ხელთათმანები აცვია, რომ რა გითხრა...

— შენ საიდან ხედავ, შვილო?

— აი, იქ ფურნეა იმათ პირდაპირ, დავდგები ხოლმე იქ და ვუყურებ... წითელი დაბრაწული პუტრებს რომ გამოიღებენ ფურნიდან, ისეთი თფილი ორთქლი გამოვარდება ხოლმე, რომ კაცს გააბრუებს.

— აი, მოგიკვდეთ, შვილებო, დედა თქვენი!..

— მერე, დედა, შევსაქერი, შევსაქერი დიდ ხანს პუტრებს, მეფურნეს შეეკითხები და მომაწოდებს ხოლმე პურის ნაჭრებს, მაგრამ იმ ცხელ პურს კი არ მაძლევს, ის არის დედა, რომ მომაქვს აქ. თომა-კი არა შვება, მეუბნება: ეს სირცხვილია, სადგურზე წავიდეთ და იქ მეზობლები რომ ჩამოვლენ, ბარგი გადავზიდოთ და ქირას მოგვცემენო. ეს-კი სირცხვილიაო.

— ეგ არა სჯობია მერე, ბენაცვალოს დედა?

— კი სჯობიან, მაგრამ იქ ჟანდარმები გვცემენ "და არ გვიშვებენ. ერთხელ ისეთი მცემეს და მერე აღარ წავსულვარ. თომა ისევ ისე დადის... ჰო, დედა, მოვიტანოთ ის მესერი და ავაბრიალოთ ერთი ცეცხლი. რა უშავს? რამდენი ხანია ცეცხლის ალი არ გვინახავს.

— არა, შვილო, ქურდობაა. —უთხრა დედამ.

იმ ღამეს თომა ძალიან გვიან მოვიდა. ნაცემი და დასისხლიანებული იყო. დედა შეშინებული მიეგება.

— ბენაცვალოს დედა, სადა ხარ ამდენს ხანს, შვილო?

— სადა ვარ? სადა და პოლიციის სატუსაღოში! სული ამომეგიდა, სიცივეს, სიმშილი, მტვერი და ყოველი უბედურება მაგათ თავს! —სთქვა თომამ.

— ვინა შვილო?

— რაო? – წამოხტა პეტრე.

— რა და შენ იღბალი გაქს, შენ არ წამოხვედი დღეს სადგურზე, ხომ მაინც აღარ დადიხარ—ბლახაკობა გირჩევნია!.. იქ დავდიოდი, დედა, შენ არ გიმხელდი, შესწუხდება მეთქი. ბევრჯელ მცემეს ჟანდარმებმა, არ გვიშვებდნენ ისე ბიჭებს, იქ არიან ცალკე კაცები, ყვითელ კაკარდიანები. ჩემსაკით ბიჭებს არ უშვებენ. ყველამ რომ თავისთვის იარაოს, იმათ ვიღა მისცემს ფულსაო. მე არ ვიშლიდი, დღეს დილით დამიჭირეს, წამიყვანეს პოლიციაში და დამამწყვდიეს. ჯიბეგირი ხარო, მითხრეს, რამდენი არ ვიფიცე, მაინც არაფერი გამიგია. აქობამდის იქ ვიჯექი შვილი. რა ფიქრები არ მომიდიდა თავში ეხლა. გამომიშვეს და მეორედ არ გაბედო იქ მისვლაო.

კუთხეში მივიდა და სველი წუღის ჯდარკები მოიცილა ფეხებიდან.

— დაიცადონ მაგათ, ვაჩვენებ სეირს! —ფიქრობდა თომა.

თოვლ-ქუაბი იყო და ძალზე ცივდა. დაწვნენ, მაგრამ ლოგინში სულ ძიგძიგებდნენ. პეტრე და თომა ერთად იწვნენ. პეტრე რადიკას ეჩურჩულებოდა.

— კარგი,—უთხრა თომამ.

— მეც ეგ გადავსწყვიტე დღეს. დაიცა, ჯერ დედამ დაიძინოს და შემდეგ ჰაიდაა...

ყველამ ხვრინვა ამოუშვა. პატარა გოგოს გარდა, ყველანი ერთმანეთს ატყუებდნენ. სული შფრაფა სიცივემ დასძლია სინიდისს: ფეფოს არა ძინავს, მახლობლად შეშა ეგულება, წამოიწია ლოგინიდან და დახედა ბავშვებს.

— სხინაეთ,—ჩაიჩურჩულა თავისთვის!—მაგათ მაინც არ გამიგონ და არ გაფუქნდნენ... ხვალ ვეტყვი, მეზობელმა მომცა მეთქი.

წამოდგა ნელა, მივიდა კუთხეში და ილოცა, რომ გადაერჩინა ღმერთს საფრთხესაგან და იმ ქვეყანასს ცოდვათ არ დაეწერა. მოიხვია შალის ნაგლეჯი და გავიდა. კარი ნელა მიიხურა, აივანზე ფათურით ჩავიდა და გაუდგა იმ ბნელ, სიათაც მესერი ეგულებოდა. როგორც ფეფომ ნელა მიხურა კარი, ისევე ნელა გააღო ორმა ძმამ და ფეხ აკრეფით დაადევნენ დედას. ფეფო მესერთან მივიდა, ბევრი წვრილი ქვა ეყარა პატარა გორასავით: ნელა აფოფხდა და ულოინოდ დაუწყო მესერს ჭიდება. ამოაძრო ოთხი ღერი, გადმოაგდო და გამოიბრუნა პირი ჩამოსასვლელად, რომ პეტრე და თომა

*) იხ. „დამატება", № 347.

გამარჯვების დღესასწაული იაპონიაში. ჯარის-კაცთ სამურაების (ძველად რაინდები) სხვა-და-სხვა ტანისამოსი აცვიათ.

მიუახლოვდნენ.—დედა, არ შეგეშინდეს, ჩვენა ვართ!—მიეხმაურნენ.

— ფეფო შეკრთა და შეინძრა. ქვა გადატრიალდა, პირველ ქვის მეორე მიჰყვა, მეორეს მესამე და წამოვიდა ხრიალით ძირს, დავარდა ქვებზე, ზევიდან ჩამონანგრევი ზედ დაეცა. ბავშვები მისცვივდნენ და საჩქაროდ აიყვანეს შეწუხებული დედა, წაიყვანეს სახლში და დაიწვინეს. პეტრე გაბრწყინდა, ფრთხილად აიღო შეშები, მოიტანა და გააჩაღა ბუხარი.

ოთახი გათბა. პატარა გოგოს გამოეღვიძა ცეცხლის ტკაცუნზე და სიხარულით ჩასრიალდა ბუხართან.

ფეფო გვერდით დაეცა ქვებზე. ჩაუდგა წყალი და შემდეგ ანთება გაუჭნდა. მეორე და მესამე დღეს ყველაფერი იყო მათ სახლში: შეშაც, პურიც, და ხორციც, მაგრამ ფეფოს მაინც ვეღარამ უშველა. ორი თვის აკადმყოფობის შემდეგ ორიოდე კაკის თანადასწრებით დაასაფლავეს მახლობელ სასაფლაოზედ.

—

იანვრის ერთ ქარიშხლიან ღამეში სადგურზე მატარებელი იდგა. დიდძალი მგზავრი ირეოდა. ზოგი ვაგონში შედიოდა, ზოგიც გამოდიოდა: ვაგონების ასასვლელები ხალხით იყო გაჭედილი.

ამ ხალხში ორი მოზრდილი ბიჭი თაგვებივით დაძვრებოდა, ხან ერთ ჯგუფში შეერეოდნენ და ხან მეორეში. ბოლოს ერთის ვაგონის ბაქანზე მოეკენენ, ხალხს ეკრიდნენ, გფუაცცებით აქეთ-იქით იყურებოდნენ. ხან ერთს ჩაუყოფდნენ ფრთხილად ჯიბეში ხელს და ამოაცალებდნენ, რაც მოახვედებოდათ, ხან მეორეს. ხალხის მიმოსვლა და ამათი მოქმედება ელვასავით სწრაფად ხდებოდა.

უკანასკნელად შემოჰკრეს ზარს, მოისმა სტვენის ხმა და მატარებელი დაიძრა. უცაროსი ბიჭი კიბეზე იდგა და მოასწრო ჩამოხტომა, უფროსი-კი ზევით იყო, რაც შეეძლო მოარღვევდა ხალხს. მაგრამ მაინც ვერ გამოატანა. უკანასკნელი ღონე იღონა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, კიბისაკენ კი არა, მეორე ვაგონისაკენ გასწია, ჩაუცდა ფეხი და თავდაყრია ვაგონებს შუა ჩავარდა, ერთი საშინლად დაიღრიალა,—მოვკვდიო, და იმისი ხმა აღარავის გაუგონია. მეორე ბიჭი ყვიროდა: „ჩავარდა, მოეტანა! მიშველეთო, მოეტანაო“. ხალხი და სადგურის უფროსები შემოესივნენ. მატარებელმა გადიარა და საზარელი სანახაობა წარმოუდგათ მაყურებელთ. ბიჭს თავი გადაკრილი ჰქონდა და ენა გამდოგდებული, მკლავები დასცილებოდა ტანს, თითები ჯერ კიდევ ინძრეოდა. ყველას სიბრალულით ცრემლები წამოსცვივდა. ბიჭი თავზედ ადგა, გაფითრებულიყო, თვალები განიერად დაეღო, კანკალებდა და რაღაცას გაუგებრად ჩურჩულებდა. მოვიდა უფროსი ენდარმი, დაფლეთილ ბავშვს დაჰხედა და გადაფურთხა. მეორეს მიუბრუნდა, თავი აუწია, უდარდელად სთქვა:

— ახ, ეს ის არის!

და მკლავში ხელი სტაცა. ბიჭმა შეხედა და შიშით გაკანკალა.

— გაჭრიკეთ ჯიბეები! —უბრძანა უმცროს ენდარმებს, ჯიბეში ხელი ჩაუყვეს. ბიჭი გამოირკვა, რაც ძალი ჰქონდა, გაიქაჩა, მაგრამ მაგრა ეჭირათ ხელში, ჯიბეში უპოვნეს ერთი ვერცხლის პორტსიგარი და ერთიც ოქროს საათი.

— პოლიციაში წაიყვანეთ ჩქარა!

და თავად დაიწყო ოქმის შედგენა. კვდარი ბავშვის სხეული წაიღეს ადგილობრივ საავადყოფოში და მეორე დღეს ღამარხეს. მეორე ბიჭი-კი სამართალში მისცეს და შემდეგ მეორე წლოვან დამნაშავეთა გამოსწორებულ ახალშენში გგზავნეს.

—

№-ის ქალაქის ქუჩებში შეეხვდებოდით ერთ პატარა ცხრა თუ ათი წლის ლამაზ, თეთრ, თმა-ხუჭუჭა დიდრონ ცის-ფერ თვალებიან მათხოვარ გოგოს. შეყრილი წარბის კუბები შეეკრა, თვალები სულ ნიდვლიანი ჰქონდა. საღი ბავშვი იყო, არა სტკიოდა რა და ხშირად-კი სტიროდა. ვინც-კი ჰკითხავდა ტირილის მიზეზს, ყველას შეშჩიოდა.

— ორი ძმა მყავდა, ორივე ერთ დღეს დამეკარგა.. დიდი ხანია, იქნება ვინმემ ნახეთ... ერთს პეტრე ჰქვიან, მეორეს თომა...

ბევრი სიცილით ჩაუვლიდა ხოლმე. შეხვდებოდნენ ისეთნიც, რომელთაც შეეცოდებოდათ და ორიოდე გროშით

კალაბრიაში (იტალია) მიწის-ძვრისაგან დაზარალებული კრავები სცხოვრობენ.

ეშორებდნენ. ერთ დღეს შეჰხვდა ერთ მანდილოსანს. სხვა ქალაქიდან უნდა ყოფილიყო ჩამოსული, სკელ-სქელი, ჩასუქებული ქალი, ღიპი გულზედ დასდებოდა და პატარა წვეთიც ჰქონდა ნიკაპზე, რომელიც საზიზღარ შეხედულებას სდებდა. ნაღებავი, წითელი, ზევით აძგიბული წარბები და დაქუტული წვრილი, ცივი თვალები უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა, მდიდრულად ეცვა, მაგრამ გემოვნება არ ეტყობოდა, სიმსუქნისაგან ქშინავდა და სულს ძლივს იბრუნებდა. პატარა მათხოვრის მშვენიერმა სახემ დაინტერესა, შეჩერდა და ხარბად დაუშტერა თვალები.

— ვისი შვილი ხარ, პატარავ? — შეეკითხა დანძლრეულის ხმით.

დედ-მამა არა მყავს, — მიუგო მათხოვარმა. — არ ვიცი მამას რა ერქვა...

— როგორ თუ არ იცი, შვილო?

— პატარა ვიყავ, მამაჩემი სხვაგან წავიდა... მახსოვს, დედა რომ ტიროდა, მეც ვტიროდი. მერე დედაც მომიკვდა... ორი ძმა მყავდა და იმათთან ვიყავი. საღამოობით მოდიოდნენ და მოჰქონდათ საჭმელი. ერთ დღეს ადარ მოვიდნენ, მეორე დღეს წამოვედი იმთ საძებრად და სახლს ვეღარ მივაგენი, სამი დღე ვიარე, ჩემი ძმები ვერ ვიპოვე, ვერც სახლი ვიპოვე...

ქალი გულდასმით უსმენდა. ერთ ხანს დაფიქრდა, თითქოს რაღაცა მოისაზრაო, და აღტაცების ღიმილმა გადაურბინა სახეზე. თავი შეიმაგრა და ნელა ჰკითხა:

— ნათესავები გყავს ჩემო კარგო?

— არა...

ქალმა ჯიბეში ხელი წაიღო, მანეთიანი ამოიღო და ხელში დაიჭირა. ბავშვი ხან ქალს მისჩერებოდა, ხან მანეთიანს.

— მაშ ვისთან სცხოვრობ?

— ერთ ბებერ დედაკაცთან... რასაც ვიშოვი, იმასთან მიმაქვს და იმასთან ვიძინებ...

— ჰა, შვილო ეს მანეთი ეხლა გქონდეს და, თუ შეგხვდი, კიდევ მოგცემ.

ბავშვმა მადლიანი თვალები მიაპყრო. გული აუჩუყდა და ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. ქალი მისჩერებოდა და კითხულობდა ბავშვის სახის მოძრაობას.

— რა კარგი ხართ, — ტირილით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო ბავშვმა: — ჩემი ბებერი რასაც მინახავს, წამართმევს ხოლმე, თქვენ კარგი ხართ...

ქალმა მოშვებით ამოისუნთქა.

— მართლა, შვილო? აფსუს, აფსუს, ცოდვა არა ხარ იმის ხელში? გაკვეს, შვილო?

— ხანდახან...

— უი, თვალებო! აი წაწყდეს მისი სული! ჩემ ხელში რომ იყო, როგორა გცემ.

— თქვენ არ გიყვართ ცემა?

— არა, შვილო, სული-კი არ მომძულებია. იცი რა გითხრა, შვილო: წამოდი ჩემთან სხვა ქალაქში, მე გამოგზრდი, გასწავლი, შვილი არა მყავს და შვილის ადგილზე მეყოლები.

ბავშვმა მიჰხედა და დაუწყო თვალიერება. ქალი ხედავდა, რომ გამარჯვება იმისკენ იყო.

— შენი სახელი, შვილო?

— კატო.

— კატო? აი, აი, აი! მეც მყავდა ერთი შვილი, კატო ერქვა... ვაი ჩემს დღეს! ააახ, რა ნაირად მაგონებ ჩემ შვილს... — და ცხვირსახოცი თვალებზე მიიდო. ბავშვს ხელ-



მიწის-ძვრა კალაბრიაში. ჯარის კაცები ეძებენ ნანგრევებში მოყოლილ ხალხს.

ახლა გული აუჩიოლდა და ტირილი მოუვიდა. გამოცდილმა ქალმა შესცვალა ლაპარაკის კილო:

— აბა წამოხეალ შვილო? ისე შემიყვარდი, რომ ძლიერ მეძნელება შენი მოშორება.

— არა.—უთხრა ბავშვმა.

— რატომ, შვილო?

— იქ ვერ მოვნახავ ჩემ ძმებს...

— რატომ, შვილო, თუ-კი არიან ქვეყანაზე, ვეცდები, რომ მოვნახო და ისინიც ისე შევიყვარო, როგორც შენ. მე კაცებს გავგზავნი ყველგან შენი ძმების საძებნელად.

— ჩემ ძმებს ერთს პეტრე ჰქვიან და მეორეს თომა.

— პეტრე და თომა...—ჩაფიქრდა ქალი, თითქო რაღაც მოაგონდაო.—ჰო, ჰო, პეტრე და თომა, მეც გამიგონია — ძმები არიანო. ჩვენსკენ იყვნენ. თუ წამოხვალ, მოვნახავთ.

ბავშვს სიხარულით სახე აეტკლიცა, თვალებმა ბრწყინვა დაუწყო.

— კი, კი წამოვალ...· წამოვალ.

— უსათუოდ მოვნახავთ, მე აქვე ვდგევარ.

და წაიყვანა სასტუმროში, სადაც გადმომხტარი იყო ნაშუადამეების სამ საათზე, მატარებელი რომ გავიდა, მეორე კლასის ვაგონში იჯდა ჩვენი უცნობი მანდილოსანი, რომელსაც თან მიჰყავდა პატარა კატო, კოხტა ტანთ-საცმლებით გამოწყობილი.

მ. გარიყული.

(დასასრული იქნება)



სახლის პატრონი. მართალია, ჩემი სახლი იმდენად არა ღირს, რამდენსაც ახლა თხოვთ, მაგრამ სამაგიეროდ მეტს რომ მომცემთ, სახელმწიფო სათათბიროში ასარჩევი ხმა გეკუთვნებათ. იქნება აგირჩიონ კიდეც. რასაც მეტს გადიხდით, იქიდან აილებთ, სახელიც მეტი გეკუთვნებათ.

— თქვენს სახლს ვიქირავებ, მოგცემთ იმას, რასაც თხოულობთ, მოლოდ პირობაში უნდა ჩაგწეროთ მეტი, რომ სახელმწიფო სათათბიროში არჩევის ხმა მქონდეს.

— თქვენც ხომ სახელმწიფო სათათბიროში არჩევისათვის არ გინდათ ეს სახლი? ვერა, ვერ მოგაქირავებთ! რომ არ აგირჩიონთ, ქირა საიდან უნდა მაძლიოთ?



— უკაცრავად, მე თქვენ სახლს ვერ მოგაქირავებთ; შეიძლება ამ სახლის წყალობით სახელმწიფო სათათბიროში აგირჩიონთ, მე კი არ მომწონხართ.

რედაქტორ-გამომგემელი ალ. ბ. ჯაბადარი

Дозв. ценз. Тифлисъ 23 сентября 1905 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.